სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

23 იანვარი 2024 B24007215/3

გადაწყვეტილება # B24007215/3 (23/01/2024 09:34:22)

რეგისტრაციის შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება #**B24007215** 23/01/2024 09:14:36 ( ), რომლითაც მოთხოვნილია საზოგადოებისათვის ხარვეზის დადგენის შესახებ .

სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
დასახელება: **შპს ნოვა ჰიდრომაინინგ**
საიდენტიფიკაციო კოდი: **415110739**

დ ა ს კ ვ ნ ა

1. შპს „ნოვა ჰიდრომაინინგს“ (ს/ნ: 415110739) დაუდგინდეს ხარვეზი და მიენიჭოს ხარვეზიანი საზოგადოების სტატუსი, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-80 მუხლის შესაბამისად.

2. სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის:

წარმოსადგენია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი და დამოწმებული, საზოგადოების უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ, წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით, შედგენილი და დამოწმებული გადაწყვეტილება, საზოგადოების იურიდიული მისამართის განსაზღვრის შესახებ.

3. ხარვეზიანი საზოგადოების სტატუსის არსებობის პერიოდში ჩერდება რეგისტრირებული მონაცემების მოქმედება და რეესტრიდან ამონაწერი არ გაიცემა.

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს №B24007108 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებულ იქნა უძრავი ნივთის მესაკუთრის, შპს „ჯორჯია თექნოლოჯი პარკის“ (ს/ნ: 405101367) უფლებამოსილი წარმომადგენლის, ნინო მახარაძის (პ/ნ: 37001043770) მოთხოვნა საზოგადოების იურიდიული მისამართის გაუქმების თაობაზე.

2. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ საქმეში არსებული ყველა დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლისა და ურთიერთშეჯერების შედეგად დადგინდა:

მარეგისტრირებელ ორგანოში არ არის წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი და დამოწმებული, საზოგადოების უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ, წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით, შედგენილი და დამოწმებული გადაწყვეტილება, საზოგადოების იურიდიული მისამართის განსაზღვრის შესახებ.

3. „მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე- 10 პუნქტის თანახმად, ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებით განსაზღვრული უნდა იყოს საზოგადოების იურიდიულ მისამართი. მეწარმის იურიდიული მისამართი არის მისი ფიზიკური მისამართი საქართველოს ტერიტორიაზე.

4. „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N797 ბრძანების მე-12 მუხლის თანახმად, იურიდიულ მისამართად სუბიექტმა უნდა მიუთითოს ის ფიზიკური მისამართი, რომელზეც შესაძლებელია საზოგადოების დოკუმენტაციის გაცნობა და რომელზე მისული შეტყობინებაც ჩაბარებულად ჩაითვლება. ამავე მუხლის თანახმად, მეწარმის იურიდიული მისამართის განსაზღვრისთვის სავალდებულოა ადგილსამყოფლის მესაკუთრის სათანადო წესით დადასტურებული თანხმობის ან ადგილსამყოფლით სარგებლობის თაობაზე დადგენილი წესით გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების სააგენტოში წარდგენა. - სუბიექტის იურიდიულ მისამართად შეიძლება განისაზღვროს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ასახული პირის რეგისტრაციის მისამართი, თუ ეს პირი არის აღნიშნული სუბიექტის დამფუძნებელი/პარტნიორი, ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, წილის მმართველი, მმართველი ორგანოს წევრი. - სუბიექტის იურიდიულ მისამართად შეიძლება განისაზღვროს საქართველოს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დევნილის მოწმობაში მითითებული მისამართი, თუ აღნიშნული სუბიექტის დამფუძნებელი/პარტნიორი, ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, წილის მმართველი, მმართველი ორგანოს წევრი არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირი.

5. ამდენად, სახეზეა შპს „ნოვა ჰიდრომაინინგისთვის“ (ს/ნ: 415110739) ხარვეზიანი საზოგადოების სტატუსის მინიჭების სამართლებივი საფუძველი.

6. გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს წესით.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ::: მისამართი: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, N22 :::
www.reestri.gov.ge